



ინფორმაცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 6 თვის სასამართლო პრაქტიკის შესახებ

1. შესავალი
2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული დარღვევების შესწავლა-ანალიზი:
 - 2.1 საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები
 - 2.2 მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები
 - 2.3 ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საკასაციო საჩივრების განხილვისას დაშვებული დარღვევები
3. დასკვნა

1. შესავალი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში 2013 წლის 6 თვეში სააპელაციო სასამართლოების განაჩენებისა და სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილებების გამო საკასაციო საჩივრით 127 პირის მიმართ 108, ხოლო ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო 145 საქმე შემოვიდა.

მიმდინარე წლის 6 თვეში სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სააპელაციო სასამართლოების განაჩენების გამო საკასაციო საჩივრით შემოსულ საქმეებზე დასაშვებობა შეამოწმა 81 საქმეზე. აქედან: 52 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, ხოლო 29 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან.

დასაშვებობა შემოწმებული 81 საქმიდან 22-ზე საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დაუშვებლად.

დაშვებული საქმებიდან განხილულია 59 საქმე 70 პირის მიმართ, აქედან: 38 საქმე 44 პირის მიმართ შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან (აღნიშნულ საქმეებზე სააპელაციო საჩივრები განხილულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 27, გორის რაიონული სასამართლოს 2, გურჯაანის რაიონული სასამართლოს 1, თელავის რაიონული სასამართლოს 2, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 3, ლაგოდეხის რაიონული სასამართლოს 1, მცხეთის რაიონული სასამართლოს 1, საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 1 საქმეზე), ხოლო 21 საქმე 36 პირის მიმართ – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან (აღნიშნულ საქმეებზე საჩივრები განხილულია ბათუმის საქალაქო სასამართლოს 9, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 1, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 3, სენაკის რაიონული სასამართლოს 1, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 3 და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2 საქმეზე).

განხილვის შედეგად: უცვლელად დარჩა გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 1 საქმეზე;

შეიცვალა კვალიფიკაცია და სასჯელი 2 საქმეზე. აქედან: 1 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 1 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან;

შეიცვალა სასჯელი 3 საქმეზე (სამივე საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან);

ამნისტიით შეიცვალა სასჯელი 42 საქმეზე. აქედან: 28 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 14 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან.

ამნისტიით გათავისუფლდა 11 საქმეზე 13 პირი. აქედან: 6 საქმე 7 პირის მიმართ შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 5 საქმე 6 პირის მიმართ – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საკასაციო საჩივრით განხილულია 68 საქმე, საიდანაც: 36 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 32 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან.

2 განჩინება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა სასამართლოს. მათ შორის: 1 საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოს, 1 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს;

კვალიფიკაცია შეიცვალა 1 საქმეზე (თბილისის სააპელაციო სასამართლო);

1 საქმე განუხილველი დარჩა საჩივრის უკან გათხოვნის გამო (ქუთაისის სააპელაციო სასამართლო);

64 გადაწყვეტილება დატოვებულია უცვლელად. აქედან: 34 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 30 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან.

მიმდინარე წლის 6 თვის პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა საქმეთა განხილვისას დაუმეცეს სხვადასხვა სახის დარღვევები, რაც გამოიხატა, როგორც მატერიალური, ისე საპროცესო სამართლის ნორმების არასწორ გამოყენებასა და განმარტებაში.

2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული დარღვევების შესწავლა-ანალიზი

2.1 საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 6.12.2012 წლის განჩინება, რომლითაც აღდგენილი იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 6.09.2012 წლის განაჩენის გასაჩივრების გაცდენილი ვადა და აღნიშნული საქმე საკასაციო საჩივრით განსახილველად წარმოდგენილი იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატაში, გაუქმდა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად აღადგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 6.09.2012 წლის განაჩენის გასაჩივრების გაცდენილი ვადა, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 8.10.2012 წლის განჩინებით მსჯავრდებულს სასჯელი განესაზღვრა თბილისის საქალაქო სასამართლოს 3.07.2012 წლისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 6.09.2012 წლის განაჩენების მიხედვით დანიშნული სასჯელების შეკრების საფუძველზე და ვინაიდან გასაჩივრებული განაჩენი

უკვე შეცვლილი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 8.10.2012 წლის განჩინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 6.12.2012 წლის განჩინება 6.09.2012 წლის განაჩენის გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენის შესახებ გაუქმდა (საქმე №6აპ-13 18.01.2013).

საკასაციო პალატამ გააუქმა განჩინებები მსჯავრდებულების მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გავრცელების შესახებ, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დაუბრუნდა „ამნისტიის შესახებ“ კანონის გამოყენების საკითხს და არსებითად გადაწყვიტა იგი განაჩენებში ცვლილებების შეტანის გზით.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მსჯავრდებულების მიმართ განჩინებები „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გავრცელების თაობაზე იყო კანონშეუსაბამო, ვინაიდან განჩინებების მიღების მომენტიდან სისხლის სამართლის საქმეები საკასაციო საჩივრებთან ერთად განსახილველად შესული იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, საქმეებზე არ იყო მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება და, ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოები „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ იყვნენ უფლებამოსილნი, განეხილათ მსჯავრდებულების მიმართ ამნისტიის გავრცელების საკითხი. შესაბამისად, საკასაციო პალატის განმარტებით, გადაწყვეტილებები მოცემულ შემთხვევებში მიღებული ჰქონდათ არაუფლებამოსილ სასამართლოებს (საქმეები: №10აპ-13 5.04.2013; №13აპ-13 16.05.2013; №33აპ-13 (17.06.2013)).

ცვლილება შევიდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 5.12.2012 წლის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 27.11.2012 წლისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 25.12.2012 წლის განაჩენებში.

განჩინებები მიღებულია პირველი ინსტანციის შემდეგი სასამართლოების მიერ: ქუთაისის საქალაქო სასამართლო 28.09.2012; 10.07.12. ოზურგეთის რაიონული სასამართლო 31.08.2012.

სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის 299-ე მუხლის (სააპელაციო საჩივრის სარევიზიო საწყისი) მოთხოვნათა გათვალისწინებით, არ იმსჯელა ამ საქმეში სხვა მსჯავრდებულების მიმართ, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 18.09.2012 წლის განაჩენით ა.გ-ნი მსჯავრდებული იყო საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით, 236-ე მუხლის I-ლი და მე-2 ნაწილებითა და 338¹-ე მუხლის I-ლი ნაწილით, ხოლო პროკურორსა და ბრალდებულებს – ს.კ-სა და ლ.ხ-ს შორის დაიდო საპროცესო შეთანხმება სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის, სასჯელზე შეთანხმებით. აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.12.2012 წლის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ, ა.გ-ის ქმედება, ნაცვლად სსკ-ის 108-ე მუხლისა, დაკვალიფიცირდა სსკ-ის 116-ე მუხლით – სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით. დანარჩენ ნაწილში განაჩენი დარჩა უცვლელად.

საკასაციო პალატის განმარტებით, იმავე განაჩენით ამ მსჯავრდებულების მიმართ უნდა დადგენილიყო გამამართლებელი განაჩენი, რადგან იმ მომენტიდან, როდესაც სააპელაციო პალატამ დასაბუთებულად შეცვალა ა.გ-ის დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაცია სსკ-ის 116-ე მუხლის I-ლი ნაწილით, როგორც სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, რომელიც ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება, ს.კ-ისა და ლ.ხ-ის ქმედებებში სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა უკვე აღარ არსებობდა და, შესაბამისად, სამართლებრივ რეაგირებას საჭიროებდა აღნიშნულ მსჯავრდებულ პირთა მიმართ.

საკასაციო პალატის განაჩენით ს.კ-ი და ლ.ხ-ლი უდანაშაულოდ იქნენ ცნობილნი სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში. (საქმე №34აპ-13 12.03.2013).

2.2 მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები

შესწავლილ გადაწყვეტილებებში სააპელაციო სასამართლოებს არასწორად აქვთ გამოყენებული მატერიალური კანონი, რამაც გავლენა მოახდინა როგორც ქმედების კვალიფიკაციაზე, ისე სასჯელზე.

ზოგ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ უტყუარად დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად სწორად ვერ შეაფასა და კვალიფიკაციაც არასწორად განსაზღვრა, კერძოდ:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.06.2012 წლის განაჩენი, რომლითაც განხილული იყო სააპელაციო საჩივარი თელავის რაიონული სასამართლოს 26.04.2012 წლის განაჩენზე, შეიცვალა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე და 53-ე მუხლების შინაარსის გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ი.ა-ს ამოერიცხა დამატებითი სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მსჯავრდებულ ი.ა-ს ოჯახი რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველთა ოჯახების ერთიან ბაზაში და აღნიშნული ცნობა წინასასამართლო სხდომაზე დამტკიცდა როგორც მტკიცებულება, რომელსაც მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ (საქმე №29აპ-12 4.01.13).

საკასაციო პალატამ ცვლილება შეიტანა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 11.01.2013 წლის განაჩენში, რომლითაც განხილული იყო სააპელაციო საჩივარი ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 18.04.2008 წლის განაჩენზე და მსჯავრდებული ბ.ჩ-ი გაათავისუფლა განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელის – ჯარიმის გადახდისაგან.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სსკ-ის 1961 წლის რედაქციის 152-ე მუხლი დამატებითი სასჯელის სახით არ ითვალისწინებდა ჯარიმის გამოყენებას (საქმე №72აპ-13 17.06.2013).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 4.09.2012 წლის განაჩენი (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 5.06.2012 წლის განაჩენზე) შეიცვალა სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევის ნაწილში.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ლ.გ-ის მიმართ „კია-სპორტივზის“ მარკის ავტომანქანისა და მის სახელზე სოფელ დიღმის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევის ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, რადგან საქმეში არ მოიპოვება საკმარისი მტკიცებულებები, რაც ეჭვის გამომრიცხავად დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ ლ.გ-ის მფლობელობაში არსებული ავტომანქანა და მიწის ნაკვეთი წარმოადგენს დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას, ან დანაშაულის საგანსა და იარაღს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის განაჩენით ხსენებული ქონება დაუბრუნდა კანონიერ მფლობელს (№368აპ-12 19.04.2013).

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 8.08.2012 წლის განაჩენში (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 15.06.2012 წლის განაჩენზე) ცვლილება შევიდა მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: მსჯავრდებული დ.კ-მე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით) და სსკ-ის 369-ე მუხლით (მტკიცებულების ფალსიფიკაცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მსჯავრდებულისთვის ბრალად შერაცხული ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება და, შესაბამისად, სამოქალაქო საქმის მონაწილის მიერ მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია, საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება (№345აპ-12 16.01.13).

საკასაციო პალატამ მსჯავრდებულები ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მსჯავრდების ეპიზოდში გაამართლა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში მსჯავრდებები ვერ დასტურდება ეჭვის გამომრიცხავ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით და ბრალდებები ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში ფაქტობრივად დასაბუთებულია მხოლოდ ერთი პირის განთქმითი ჩვენების საფუძველზე. მსჯავრდებულების ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მსჯავრდების ეპიზოდში გამართლების შემდეგ, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი არ იყვნენ აღრე განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის ნა-სამართლვეი პირები, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ამავე კანონის მე-8, მე-18, მე-19 მუხლების თანახმად, გაათავისუფლა განაჩენით დადგენილი სასჯელებისაგან. სასჯელებისაგან გაათავისუფლებასთან ერთად, მათ აღუდგათ განაჩენებით „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები. ასევე ერთ-ერთ მსჯავრდებულს დაუბრუნდა პირადი ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა (საქმეები №43აპ-13 28.06.2013; №47აპ-13 28.06.2013);

ცვლილება შევიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.01.2013 და 29.01.2013 წლის განაჩენებში;

სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივრები თბილისის საქალაქო სასამართლოს 26.09.2012 და 30.05.2012 წლის განაჩენებზე.

2.3 ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საკასაციო საჩივრების განხილვისას დაშვებული დარღვევები

განჩინებები ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენების გადასინჯვის თაობაზე მსჯავრდებულების შუამდგომლობის განსახილველად დაშვებაზე უარის თქმის შესახებ გაუქმდა მსჯავრდებულების შუამდგომლობის განსახილველად დაშვების საკითხის გადასაწყვეტად. №124აგ-12 საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 7.11.2012 წლის განჩინების გაუქმებისას საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ა.კ-ას აბაშის რაიონულმა სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის მიუსჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. მოქმედი კანონმდებლობით კი მითითებული დანაშაულისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური სანქცია

არის 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო №34აგ-13 საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 11.03.2013 წლის განჩინების გაუქმების საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა მსჯავრდებულ გ.ბ-ის მიერ ჩადენილი დანაშაულის კატეგორიის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე, კერძოდ, გ.ბ-ის მიერ ჩადენილი დანაშაული – ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, საქართველოს სსკ-ის 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით მძიმე კატეგორიის დანაშაულს წარმოადგენდა, მოქმედი კანონმდებლობით კი ის ნაკლებად მძიმე დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება (საქმეები №124აგ-12 21.01.2013; №34აგ-13 4.04.2013).

უზენაესი სასამართლოს განაჩენით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.08.2012 წლის განაჩენი შეიცვალა კვალიფიკაციის ნაწილში „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ 2012 წლის 22 მაისის საქართველოს კანონის საფუძველზე.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მსჯავრდებულის ქმედების (სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) კვალიფიკაცია ეფუძნებოდა „უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ 2003 წლის 23 ივლისის საქართველოს პარლამენტის დადგენილებას, რომლის თანახმადაც, 1 გრამამდე (1 გრამის ჩათვლით) ოდენობით „ჰეროინი“ მიეკუთვნებოდა დიდ ოდენობას. აღნიშნული ნორმატიული აქტი ძალადაკარგულად გამოცხადდა „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ 2012 წლის 22 მაისის საქართველოს კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან – 2012 წლის 8 ივლისიდან, რომლის თანახმადაც, 0,2 გრამამდე ოდენობით „ჰეროინი“ ითვლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საწყის ოდენობად და, შესაბამისად, ქმედების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაკვალიფიცირების საფუძველს წარმოადგენს. იქიდან გამომდინარე, რომ მ.პ-მ, ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, უკანონოდ შეიძინა და შეინახა 0,10445 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა იმავე მუხლის 1-ლ ნაწილზე, ხოლო დანიშნული სასჯელი უცვლელად დარჩა, ვინაიდან ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს გადასასინჯი გადაწყვეტილების სამართლიანობაზე. საპროცესო კოდექსის ამ მოთხოვნებიდან და სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მსჯავრდებულს უნდა შეუმცირდეს სასჯელი იმ შემთხვევაში, როდესაც მისთვის დანიშნული სასჯელის ზომა აღემატება ახალი კანონით დადგენილი სასჯელის ზომის მაქსიმუმს. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუკი დანიშნული სასჯელი ახალი კანონის სანქციის ფარგლებშია, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, შეამციროს მისი ზომა. (№108აგ-12 14.01.2013).

3. დასკვნა

წინამდებარე ინფორმაციიდან გამომდინარე ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოების განაჩენების გამო 2013 წლის 6 თვეში საკასაციო საჩივრით შემოსულ საქმეებზე დაშვებული დარღვევები გამოწვეული იყო:

- საქართველოს სსკ-ის 299-ე მუხლის (სააპელაციო საჩივრის სარევიზიო საწყისი) დარღვევით, როდესაც სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა ამ საქმეში 2 მსჯავრდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენაზე, რადგან იმ მომენტიდან, როდესაც სააპელაციო პალატამ დასაბუთებულად შეცვალა ა.გ-ის დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაცია სსკ-ის 108-ე მუხლიდან 116-ე მუხლის I-ლი ნაწილით, როგორც სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, რომელიც ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება, აღნიშნულ პირთა ქმედებაში სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა უკვე აღარ არსებობდა;
- რიგ შემთხვევაში განაჩენში ცვლილებები შევიდა იმ მიმართებით, რომ საკასაციო პალატამ გააუქმა განჩინებები მსჯავრდებულების მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გავრცელების შესახებ, ვინაიდან განჩინების მიღების მომენტი სათავის სისხლის სამართლის საქმეები საკასაციო საჩივრებთან ერთად განსახილველად შესული იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში და საქმეზე არ იყო მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებები;
- განაჩენები შეიცვალა ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე და 53-ე მუხლების შინაარსის გათვალისწინებით. ერთ შემთხვევაში მსჯავრდებულს ამოერიცხა დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა, რადგან მისი ოჯახი რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველთა ოჯახების ერთიან ბაზაში; მეორე შემთხვევაში საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სსკ-ის 1961 წლის რედაქციის 152-ე მუხლი დამატებითი სასჯელის სახით არ ითვალისწინებდა ჯარიმის გამოყენებას;
- განაჩენში ცვლილების შეტანის საფუძველი გახდა საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის დარღვევა, რის გამოც მსჯავრდებულს დაუბრუნდა სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმეული ნივთები;
- განაჩენში შევიდა ცვლილება მსჯავრდებულის სასარგებლოდ: იგი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით) და სსკ-ის 369-ე მუხლით (მტკიცებულების ფალსიფიკაცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩაღწევაში;
- 2 შემთხვევაში გამეორდა წინა წლების პრაქტიკა და მსჯავრდებულები გამართლდნენ ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში, რადგან მათი ბრალდებები ამ ნაწილში ფაქტობრივად დასაბუთებული იყო მხოლოდ ერთი პირის განთქმითი ჩვენების საფუძველზე.

**სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა
და განზოგადების განყოფილება**